ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №176

2015 წლის 19 ნოემბერი

ქ.ქობულეთი

ს.ს. „სილქნეტი“-სათვის სატელეფონო კანალიზაციის მშენებლობისათვის საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის №57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ს.ს. „სილქნეტს” თანდართული სიტუაციური ნახაზის შესაბამისად ქ.ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა N109-ის მიმდებარედ სატელეფონო კანალიზაციის მშენებლობისათვის საჭირო მიწისქვეშა სამუშაოების წარმოებაზე;

2. ს.ს. „სილქნეტმა“ უზრუნველყოს სატელეფონო კომუნიკაციის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან;

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობისა და ზედამხედველობის სამსახურებს;

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე

10/27/2015

ერთარხიანი სატ კანალიზაცია 4.0 მეტრი გრუნტზე მცირე ტიპის კოლოფის მშენებლობა 1 ცალი

პირობითი ნიშნები

- არსებული ჭა
- არსებული სატ. კანალიზაცია
- საპროექტო სატ. კანალიზაცია
- ① საპროექტო მცირე ტიპის კოლოფი

232300

1-3

ქობულეთი, შოთა რუსთაველის ქუჩა, #109

სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი

სახაზო ნაგებობები

CRM ID:	ფურცლები	ფ
89435	3	1

ა. ალუაშვილი

კ.კიზირიძე

საკაბელო სქემა

სს. სილქნეტი

ძებნის შედეგი

ინფორმაცია